შეხვედრის ოქმი
29 მარტი, ზუგდიდი

ღია მმართველობა საქართველო
საჯარო კონსულტაციები 2014

ქალაქ ზუგდიდში ღია მმართველობა საქართველოს საჯარო კონსულტაცია USAID–ის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრსა და შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში გაიმართა. შეხვედრებს ზუგდიდის, აბაშისა და ხობის საკრებულოს და გამგეობის წევრები დაესწრნენ. შეხვედრაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის, სხვადასხვა პოლიტიკური მოძრაობისა და შპს-ების წარმომადგენლებმა, ისევე როგორც პენსიონრებმა, სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა.

შეხვედრის ფარგლებში ღია მმართველობა საქართველოს ეროვნულმა კოორდინატორმა ქეთი ცანავამ და სსიპ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ ირაკლი ლომიძემ შეკრებილ საზოგადოებას გააცნეს მთავრობის ის ინიციატივები, რომელთა მიზანია მთავრობის ღიაობის, გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა წინაშე ანგარიშვალდებულების გაზრდა და რომლებიც დაგეგმილია, რომ ვალდებულებების სახით ჩაიდოს ღია მმართველობა საქართველოს 2014–2015 წლის სამოქმედო გეგმაში.

შეხვედრის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს შემდეგ საკითხებზე:

- შეხვედრის მნიშვნელოვანი ნაწილი საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების რეფორმის შესახებ საუბარს დაეთმო. დამსწრეთა უმრავლესობა თანხმდება, რომ აუცილებელია მთავრობის დადგენილება საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიული გამოქვეყნების შესახებ ასევე გავრცელდეს ადგილობრივ თვითმმართველობებზე.

- შეხვედრის მონაწილეები მიესალმნენ საჯარო უწყებების ვებგვერდებზე საჯარო ინფორმაციის განთავსების პრაქტიკას. რამდენიმე პირმა აღნიშნა, რომ ვებგვერდზე წარმოდგენილმა ინფორმაციამ მათ, რიგ შემთხვევებში, საჯარო დაწესებულებისთვის განცხადებით მიმართვის საჭიროება მოუხსნა.

- დამსწრეთა უმრავლესობას მიუმართავს იუსტიციის სახლისთვის სხვადასხვა სერვისის მიღების მიზნით და მათი უმრავლესობა კმაყოფილებით ელოდება იუსტიციის სახლის ზუგდიდში გახსნას. შეხვედრის მონაწილეთა ნაწილს სურს იუსტიციის სახლმა მომხმარებელს შესთავაზოს ნოტარიუსის მომსახურება. შეხვედრის მონაწილეები მიესალმებიან ღია მმართველობა საქართველოს ახალი სამოქმედო გეგმის ფარგლებში იუსტიციის სახლის მიერ შემოთავაზებულ ვალდებულებებს ახალი სერვისების დამატებასთან დაკავშირებით.

- შეხვედრის მონაწილეების მოწონება დაიმსახურა საზოგადოებრივი ცენტრების კონცეფციამ. შეხვედრის დამსწრეთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ საჭიროა ცენტრების რაოდენობა გაიზარდოს და მაქსიმალურად დაფაროს სხვადასხვა რეგიონის სოფლები.

- შეხვედრის მონაწილეთა ნაწილმა ყურადღება გაამახვილა საჯარო სამსახურში მიღების პროცესის გამჭვირვალობის აუცილებლობაზე. მათი თქმით, მნიშვნელოვანია გაძლიერდეს კონტროლის მექანიზმები, მათ შორის, საჯარო სამსახურის ბიუროზე, რათა დადგინდეს, თუ რამდენად გამჭვირვალედ ხდება საჯარო სამსახურში კადრების აყვანა. შეხვედრის ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ ვერ მიიღო კონკურსში მონაწილეობა მხოლოდ იმის გამო, რომ წარდგენილ დოკუმენტაციაში მცირედი უზუსტობა აღმოჩნდა და მიუხედავად მცდელობისა, მან ვერ შეძლო კონკურსის გამომცხადებელ საჯარო დაწესებულებასთან კომუნიკაცია აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად.

- საჯარო სამსახურის რეფორმაზე საუბრისას სტუდენტებმა გამოთქვეს სურვილი მეტი სტაჟირება შესთავაზოს საჯარო სამსახურმა სტუდენტებს და ამ გზით იზრუნოს მათ პროფესიულ განვითარებაზე. სტუდენტები ასევე აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია კონკურსისთვის დადგენილი ვადების მკაცრად დაცვა და როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში კონკურსანტისთვის შეტყობინების გაგზავნა, რათა ისინი არ იყვნენ ხანგრძლივად მოლოდინის პროცესში. ერთ-ერთმა სტუდენტმა საკუთარი გამოცდილების გათვალისწინებით აღნიშნა, რომ ასევე მნიშვნელოვანია კონკურსანტებს ყველაზე ცოტა 2 დღით ადრე ეცნობოთ კონკურსის შემდგომი ეტაპის შესახებ, ვინაიდან თავად მან ვერ შეძლო თბილისში კონკურსის ერთ-ერთ ეტაპზე გამოცხადება, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ წინა დღით შეიტყო აღნიშნულის შესახებ და ვერ შეძლო მატარებლის ბილეთის აღება.

- შეხვედრის რამდენიმე მონაწილემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ნებისმიერ სფეროს რეფორმირების პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მეტი გამჭვირვალობა.